

ნახ. ნ. მალაზონიანი



— რა ამბავია ამ სიბრძნე კაბინეტი?
— სათოფრეზე არ იპარებხ კაცს.

ეს ამბავი იმ ხანებში მოხდა, ოჯახს რომ მოვევლიდეთ. მე და ჩემმა მომხიბვლელმა ქეთინომ გადავწყვიტეთ, საქორწილო მოგზაურობა მოგვეწყობო და მოსკოვს გავემგზავრეთ. ჩვენი გულუბრილობით და სიხარულით იყო სავესე. ვნახეთ საუკეთესო სპექტაკლები, ვესტუმრეთ ტრეტიაკოვის გალერეას, მუზეუმებს... მოკლედ, რა არ ვნახეთ! დღეები ისე გარბოდნენ, ვერც კი ვამჩნევდით. ამასობაში თურმე ჩვენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდება. ერთ დღეს ქეთინო მეუბნება:

— ხომ არ დაგავიწყდა, ლენინგრადშიაც რომ უნდა წაესულიყავით?!

— არა, რა დამავიწყებდა. ბილეთები შევიძინე და სულ მალე ნების სანაპიროზე ამოვყავით თავი.

მივსერილობთ ხალხმრავალ პროსპექტზე, მაგრამ გული მწყდება, რომ სასტუმროში ადგილი ვერ ვიშოვნეთ. არა და, ყველა სასტუმრო შემოვიარე. მგონი, რაღაც სიმბოლოში იწყებოდა და ქალაქში იმდენი ხალხი ჩამოსულიყო, სასტუმროში თავისუფალი ნომრები აღარ იყო. ქეთინო სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. მე ჩუმად მივდეგ გვერდით და ვფიქრობ, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს; და, აი, უცებ გულში იმედის ნაპერწკალმა იელვა: რაღაც ჩავიფიქრე და ქეთინოს ვუთხარი, სასწრაფოდ წამომყოლოდა სასტუმროების სამმართველოში.

მივედით. მისაღებ ოთახში აუარებელი მთხოვნელი დავინახე. გულისხმიერმა მდივანმა სწრაფად შემატყობინა, მმართველი ივან ივანეს ძე შევბუღებამია და მას პირველი მოადგილე აკიმ პეტრეს ძე ცვლისო. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ აკიმ პეტრეს ძეს პირისპირ შევხვდი. მაგიდას სიმბათიური მამაკაცი უჯდა. მე მდებლად დავუკარი თავი და შევბედე:

— სალამი, პატივცემულო ივან ივანეს ძე!

— მე მმართველის მოადგილე აკიმ პეტრეს ძე ვარ! — მოკლედ მაუწყა მან.

— აუჰ! — წამოვიძახე და შუბლზე ხელი შემოვირტყი. ჩემი მწუხარება ისე უსაზღვრო იყო, რომ აკიმ პეტრეს ძე შემფოთდა.

— დაწყნარდით, ჭაბუკო, იქნებ მეც დაგეხმაროთ!

— წყალი! — ვთქვი მისუსტებული ხმით და რბილ სავარძელში ჩავესვენე. აკიმ პეტრეს ძემ სწრაფად გახსნა ბორჯომის ბოთლი და სავესე ტიქა მომაწოდა. დაუფარავად ვიტყვი, რომ დილით მირთმეული მარილიანი ქაშაყის შემდეგ გრილი ბორჯომი საოცრად მეამა. გონს რომ მოვეგე, აკიმ პეტრეს ძეს ჩემი გასაჭირი ვუთხარი. მოვეყვები, რომ საქორწილო მოგზაურობის დროს, მოსკოვში ყოფნისას, სამინისტროში შევიარე და ამხანაგი პალეიშჩუკი ვინახულე (ეს გვარი ადრე მქონდა გავიწყდა. ვიცოდი, იგი მინისტრის მოადგილედ მუშაობდა). მან მითხრა, თუ ნომერს ვერ იშოვნი, ჩემი სახელით მიდი ივან ივანეს ძესთან და ყველაფერს გაგიკეთებსო.

— აჰ, მაშ თქვენ ამხანაგ პალეიშჩუკთან იყავით? — გაოცდა მმართველის მოადგილე, — დიდი ხანია იცნობთ მას?

— კარგა ხანია. ახლო მეგობრები ვართ. საქართველოში რომ ჩამოდის, უჩემოდ ფეხს არსად გადადგამს!

მმართველის მოადგილემ ტკბილად ჩაიცინა და მკითხა:

— თქვენი გვარი?

მერე ყურმილი აიღო და ერთ-ერთ კომფორტულ სასტუმროში ჩემს სახელზე საუკეთესო ნომერი შეუკვეთა.

გახარებული წამოვხტი სავარძლიდან, მმართველის მოადგილეს მივუახლოვდი, მეგობრულად ხელი გავუწოდე, მადლობა გადავუხადე და გულთბილად დავემშვიდობე.

ის იყო კარები გავაღე და გარეთ გამოვდიოდი, რომ აკიმ პეტრეს ძემ შემაჩერა და მოკლედ მითხრა:

— მომავალში მაინც იცოდეთ, რომ მინისტრის ყოფილი მოადგილე პალეიშჩუკი მე გახლავართ!

თენგიზ I

ნახ. პ. მუმუზურიძისა



— ატმსტატში რა ნიშნები აქვს?
— სულ ტკიცინა ხუთიანები, გატონო!
— მე ატმსტატზე გეკითხებით, მაგ ნიშნებით ციხეში მოხვლებით.

ნახ. ა. პანდელეაძისა



— მოქალაქე! უბილეთოდ მგზავრობისათვის გალაიხადეთ ჯარიმა 50 კაკიკი!
— აჰან 3 კაკიკი არ გალაიხა და 50 კაკიკის მოგცემს?!

ტინგლი-ტინგლი-ტინგლიო..

(ფანდურზე დასატირებელი)

ინტრიგანი ბიჭი ვარ, მეძახიან გოგიას, ზოგი „შპიონს“ მიწოდებს, ზოგი — „ტიპს“ და ზოგი — რას.

სამსახურში გამოველ დირექტორის კრიტიკით, პანდური მკრეს, იკითხეს — სად ვისწავლე ტიკტიკი. სხვა ადგილი ვიშოვნე, რომ ამელო რეკანში, იქაც მოვხვდი, უეცრად, შტატის შემტირებაში. ოთხგან კიდევ გავბედე კრიტიკული გამოვლა, სამსახურებს სულ ვიცვლი, შარვლის მიჭირს გამოცვლა. რა ვქნა, ჩემო ძამია, ვერ ვღალატობ სიმართლეს, მე სულ მივდეგ სიმართლეს, ის სულ მილევს სინათლეს. ახლა ყველა გაამიბის, ოღონდ დამკრან თვალიო, — განი, ბიჭო, განიო, მოდის ინტრიგანიო!

ზინა ივანიშვილი

ქა, რღულა ღაკილკინი

ძმაბიჭებში დაჩაგრული
მე ვარ სიმონა რაჭველი,
ეს დასვენება რომ არა,
სახლშიც ქვე მქონდა საჭმელი.

მე არც სკლეროზს ვურიოდი
და არც მუხლები მტკიოდა,
მაგრამ, „ზღვას ვერ აცდებო“,
გული ამას მიჩიოდა.

უსინათლოთა ბიურომ
მართლაც ზღვისთვის გამამზადა,
უფასო საგზური მომცა,
ციხისძირში გამაგზავნა.

ოჯახობამ პატივი მცა,
კარებამდე გამაცილა,
თან ნერვები ამიშალა,
თან გემოზე გამაცინა.

„რა მიგაქვსო!“ — ჩემოდანში
მწვდა და ჩხრეკა ჩაატარა,
წასვლა-მოსვლის ფულზე მეტი
კაპიკი არ გამატანა.

თანაც მითხრა: „გამისუქდი,
კარგად სვი და კარგად ჭამე!
მერე მოდი, ლომო, მზესა
შეგეყრები, შემეყარე!“

ციხისძირში ღირექტორი
თაიგულით შემეგება,
ჩემოდანი ჩამომართვა,
მისი ჭირი შემეყრება.

გაიღიმა, გაიცინა,
ღრანჭი გვერდზე მოიქცია,
რევიზორი თუ ვეგონე,
საკოცნელად მოიწია.

მაგრამ პასპორტს რომ დახედა,
შემოიკრა ხელი თავში,
საქონელივით შემავლო
ცხრაკაციან პალატაში.

პალატა და რა პალატა!
ცხონდეს მისი მშენებელი, —
ცხრა კარადა, ცხრა საწოლი,
ცხრა ძმის მოსასვენებელი.

არც მაგიდა, არც სკამები,
სწორედ თავგზა ამერია,
გრაფინიც კი არსად ჩანდა,
კაცს წყალი რომ დაეღია.

ჟურნალებიც, გაზეთებიც,
საწყობს ჰქონდა შენახული,
ზედაც დიდი კლიტე ედო —
ავტორიტეტშელახული.

ციხისძირში რაც წვლს ვნახე,
ყველა ვედარ გავისხენე,
პალატაში ვერ დავჯექი
და ვერც ყელი გავისველე.

ვერც გაზეთი წავიკითხე,
გული დარდით დავისვრე,
ვერ გავუძელ, წამოვედი
და... თბილისში დავისვენე.

სარგო აბაიოვილი



ხორცმეტი

ვირად ვირი

(ტრაგედიის ლიბრეტო)

სქენა წარმოადგენს ვირის საგაზიროს. ამოდის მზე — ვირი უბღვერს. ამო-
ჟუჟუნდება ბალახი — ვირი თელავს. ამონაზდება ყვავილი — ვირი ფეხს აბი-
ჯებს. ჩამოჩხუნდება წყარო — ვირი აბინძურებს. შემორბის ვირის შვილი —
ვირი დედას აგინებს. შემოკეკლუცდება ვირის ცოლი — ვირი კუდით ათრევს.
შემოვარდება ლომი — ვირი წიხლავს. შემოჭენდება ცხენი — ვირი თავზე აჯდე-
ბა. შემოძუნძულდება შგელი — ვირი კისრისტეხით ავდებს. შემოგომანდება
მწყერი — ვირი მასაც ვირულად ექცევა. შემობაჯბაჯდება დათვი — ვირი ტო-
რავს. შემოუბერავს ხიავი — ვირი საყვედურს უცხადებს. შემოიჭროლებს არწი-
ვი — ვირი მასხრად ივდებს. შემოიზლაზნება ვეფხვი — ვირი ტყავს აძრობს.
შემოსრიალდება გველი — ვირი შხამიანად იკბინება. შემოფრინდება ბულბუ-
ლი — ვირი სიმღერას იწყებს. შემოალაჯებს სხვა ვირი — ვირი ჯორავს. შემო-
ლაქუცდება მელია — ვირი ატყუებს. შემოიჭრება აფთარი — ვირი გაგლეჯს.
ჩადის მზე, ვირს უხარია.

ღრო. მიდის. შემოდის ვირუსი. ვირი კვდება.

ბ ა თ უ მ ე ლ ი ა



— მოგვალა ამ სმამ, 98 კილო და 900 გრამი ვყოფილვარ...
— წამო, ას-ასი გრამი დავლიოთ და წუსტად 99 კილო იქნებით!

საქორწილო მოგზაურობა

განსარბული დაბრუნდა ინგა პაემანიდან და დედ-მამას გამოუცხადა: — ვთხოვდები!.. 25-ში ხელს ვაწერთ და მივდივართ საქორწილო მოგზაურობაში — მოსკოვი, ლენინგრადი, რიგა და ა. შ. შ.

— აშუ თუ ასუ, — გოგო... ამერიკაში აპირებთ წასვლას?... თბილისში არ შეიძლება დარჩენა? — იკითხა მამამ.

— რატომ უნდა დავრჩეთ? ყველა მიდის, რღცა თხოვდება და მე ვითომ რა ვარ? მე და თაზოს ასე გვინდა, ბატონო!

— ეგეც მოლა გახდა, ხომ? მე მგონი, ეგ წამბედურობაა, თორემ აგერ, იმისთანა სოფელი ვვაქვს! ორსართულიანი სახლი, ძროხა, ახალი რძე და ჰყინტი ყველი, ბალი, ეზო... გარშემო იმისთანა წალკოტია, სხვა ჩამოდის სანახავად. წადით, იქ დაისვენეთ, ბებიას და ბაბუასაც გაახარებთ, თქვენს მეტი ვინ ჰყავს, ირბინეთ მწვანე მინდორსა და ტყეში, გაატარეთ დრო. იქნებით გადააბატიყებაში ერთი მეზობლიდან მეორესთან!

— რა სისულელეს ამბობ, მამა! რა გვინდა სოფელში? ძროხების ბლავილსა და ქათმების კრიახს ვუგდოთ ყური ახალ დაქორწინებულებმა?!

— მატარებლის ბორბლების რახრახს, ორი დღე შიგ ჯაყჯაყსა და მახუთის სუნს სწორედ კი მიჩვივნა ძროხის ბლავილი და ქათმების კაკანი!

— გირჩევნია და იყავით შენ და დედაჩემი, ისმინეთ ეგ კონცერტი, ჩვენ კი მოვივლით ქვეყანას!

— იმიტომაა, ბატონო, რომ იბადება რაქიტიანი და უდღეური ბავშვები... მე და ჩემი გერონტი თუ არ წავსულვართ არსად და არ გვირბენია ახალჯვარდაწერილებს, იმიტომ ვერ გავაჩინეთ ექვსი შვილი და ვერ მყავს ყველა ჩანმრთელი, მოყვანილი და ლამაზი, — ვედარ მოითმინა სონია ბებია, რომელიც ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს... — ქალო, რომ გავთხოვდი, ერთი თვე ქუჩაში გამოსვლისა მრცხვენოდა...

— რა გელაპარაკოთ, ჩამორჩენილებს, ახლა მეოცე საუკუნეა!

— დაახებე, დედა, თავი! კიდევ კარგი, ჯერჯერობით, სხვა პლანეტებზე რომ არ არის ფრენა, თორემ აქაც არ დაუდგებოდათ გული. — გაეპასუხა ვალიკო დედას.

— ეგ დროც მოვა, ჩემი შვილები და შვილიშვილები, ალბათ, მარსზე ან ვენერაზე წავლენ საქორწილო მოგზაურობაში! — უპასუხა ინგამ.

— წადით, შვილებო, რა გაეწყობა, თქვენსას მაინც არ მოიშლით, მაგრამ, მე მგონია, აჯობებდა, რომ პირველ ხანებში დამდგარ სახლში დამდგარიყავით და თაფლობის თვე რომ გათავდებთ, მერე წასულიყავით საქორწილო მოგზაურობაში!

— მაინც ვერ გავიგე, ახლანდელი გოგოები ქმრებს მიყვებიან თუ მატარებლებს? — არ იშლიდა თავისას ბებია...

თინა შორშოლიანი

ვინ ერიოპო?

შენმა ახლობელმა რომ ლატარიაში მაცივარი მოიგოს, ხომ მიულოცავ, მკითხველო? იმასაც ხომ ნაღდად ეტყვი, აბა, ერთი მოგებულ მაცივარში ჩაცივებული ღვინო გამასინჯეთ?

სწორედ ასე უთხრეს იმ დღეს ტერენტის და გააშლევინეს სუფრა. ორმაგი იყო ტერენტისა და მისი ცოლის — ეთერის სიხარული. ჯერ ერთი, მაცივარი არ ჰქონდათ და გამოწერილივით მოიგეს ლატარიაში, ხოლო, რაც მთავარია, ვეყვარებივართ მეზობლებსო.

მეორე დღეს ტერენტიმ ლატარიის გამყიდველ მოხუც ქალს ხუთი ცალი სისხლისფერი, სისხლისფასად ნაყიდი მიხაკი აჩუქა. სახლში რომ დაბრუნდა, ათი თანამშრომელი დახვდა, მოგებულ მაცივარში ჩაცივებული ღვინო უნდა გავსინჯოთო... ძალიან კარგად აცივებსო, დაასვენეს, მაგრად იქეიფეს და გვიან დაიშალნენ.

მესამე დღეს ტერენტის ცოლს მოყვა თორმეტი თანამშრომელი. სულ სხვა ეშის აქვს მოგებულ მაცივარში ჩაცივებულ ღვინოსო, დაადგინეს. მაგრად იქეიფეს და გვიან წავიდნენ.

მეოთხე დღეს ცოლის ნათესავები ეწვია ტერენტის. მართლა სხვა გემო ჰქონია მოგებულ მაცივარში ჩაცივებულ ღვინოსო, დაადასტურეს და მავარი მთვრალეები წავიდნენ.

მეხუთე დღეს თავისი ნათესავები ესტუმრნენ ტერენტის. გაგვასინჯე ერთი, რა გემო აქვს მოგებულ მაცივარში ჩაცივებულ ღვინოსო. იფ, იფ, იფ, ნამდვილად კარგად აცივებსო, გაიძახოდნენ და გამთენიისას დაიშალნენ გაღეწილი მთვრალეები.

მეექვსე დღეს ტერენტის ბიჭმა მოიყვანა შვიდი ძმა-კაცი. ამათთვის ნაღდად სულ ერთი იყო ცივიც და თბილი ღვინოც. მთელი დამე ილოთეს და უთენია აიშალნენ უღმერთოდ მთვრალეები.

მეშვიდე დღეს ტერენტის ქალიშვილმა მოიყვანა მეგობრები. მოგებულ მაცივარში ჩაცივებული შამპო, კონი და ლიქო იმპორტულს გვაგონებსო, იტლიკინეს და შუაღამისას წავიდნენ.

მერვე დღეს ტერენტიმ მერვეჯერ ისესხა ფული და გულისფანცქალით დაუწყო ლოდინი სტუმრებს. ამ დღეს მხოლოდ ორი კაცი ეწვია და ცოტა გულიც კი დაწყდა ტერენტის, ვაითუ, მომეტრა თავი და ვერ ვეცი ნამდვილი, ქართული პატივი ხალხსო.

მეცხრე დღეს გამოასუფთავა მაცივარი ტერენტიმ, წაიღო საკომისიო მაღაზიაში და ნახევარ ფასში გაჰყიდა.

მეათე დღეს ისევ ეწვია ტერენტის ზღვა ხალხი — მეზობლები, მეგობრები, ნათესავები (ცოლის და თავისი), ქალიშვილის მეგობრები, ვაჟიშვილის ძმაკაცები და ნამდვილი ქართული სუფრა გაიშალა. ყველა ერთხმად იძახდა, ახლა უფრო კარგია მოგებულ მაცივარში ჩაცივებული ღვინოთ.

მეთერთმეტე დღეს იმავე ლატარიის გამყიდველმა გაუღიმა ტერენტის. კიდევ იყიდე ჩემგან, ხომ ხედავ, კარგი ხელი მაქვსო. ლატარიის ბილეთების დანახვაზე ტერენტის ფერი წაუვიდა, მაგრამ გამყიდველს უარი ვერ შეჰყადა და ათი ცალი იყიდა. როცა გონს მოეგო, შიშით გაიფიქრა: „რა წყალში ჩავვარდე, ახლა რომ „ვოლგა“ მოვიგო?!“

სურამ რატიანი




ნახ. ო. ჯიშაკიანისა



— უფროსო, მეზობელი მაგიდიდან მოგართმევს, აიკლო იქაურობა!

ვიზიტი კბილის ექიმთან



უბექსტო ხუმრობა.



უბექსტო ხუმრობა.

როგორც იქნა, გათენდა, ჩემი ცოლის თბილი შალით ავიხეე ყბა და თავქუდმოგლეჯილი გავქანდი სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში.

— კბილი მტკივა, გასაგიჟებლად მტკივა, ამომიღეთ, მომშორეთ! — სულმოუთქმელად მივაყარე პირველ შემხვედრ ექიმს.

— დაბრძანდით, ამხანაგო, მოსაცდელში და დაელოდეთ თქვენს რიგს! გაგსინჯავთ ექიმი და, თუ საჭიროდ ჩათვლის, ამოგიღებთ მაგ ჭირიან კბილს, აბა, სახლში ხომ არ გაბატნო! — დინჯად, აულელვებლად მითხრა ექიმმა.

— ვაიმე, ექიმო, რას ამბობთ? რისი მოცდა, რისი დაჯღმა... ახლავე ამომიღეთ!..

— დამშვიდდით, ამხანაგო! — მკაცრად შემომიბღვირა ექიმი, — ასე ხელაღებით რომ ვაძრობდეთ ადამიანებს კბილებს, ერთ თვეში ერთი კბილიც აღარ შერჩებოდა მთელ ქალაქს.

— ბოლოს და ბოლოს, კბილი ჩემია, მინდა ამოვიღებ და მინდა დავიტოვებ.

— ამხანაგო, დამშვიდდით, იქონიეთ მცირედი მოთმინება!

— აღარ მაქვს ეს მოთმინება, წუხელის სულ დამეხარჯა. ამომიღეთ კბილი!

— კაცი არა ხარ? რა მოგივიდა?! ხალხის მაინც მოგერიდოს! კბილი სხვასაც ტკივა, მაგრამ სხედან გუგულებივით.

— მე ჩემი კბილი მაწუხებს, სხვისი კი არა.

— ამხანაგო, ჩემი აზრით, თქვენ ნერვებიც სამკურნალო გაქვთ!

— ეტყობა, არც თქვენ ხართ, ქალბატონო, მთლად დაღებულნი ნერვების პატრონი!

— ადამიანო, თუ არ ვნახე ის შენი კბილი, ისე რანაირად ამოვიღო?! — ნახეთ მერე, ვინ გიშლით, ქალბატონო?!

— ამხანაგო, აქ რიგი რომ დგას, თვალებში ვერ იხედებით? რა აბეზარი ვინმე ყოფილხარ! დაჯექი, დაჯექი სავარძელში!

— ო, თქვენ კი გაიხარეთ, ექიმო!.. ამაღამ ერთლიტრიანი ყანწით თუ არ დავლიო თქვენი სადღეგრძელო, მე მოგიკვდეთ!

— აბა, შენ იცი... გააღე ახლა პირი სწრაფად!

— ექიმო, მართლა ახლავე ამომიღებთ კბილს? — ცოტა არ იყოს, შემაჯივა ტანში, კბილის ამოსაღები მაშა რომ დავინახე.

— აბა, ხვალისათვის ხომ არ გადავდებ?

— დიახ, ჯობია, ხვალისათვის გადავდოთ! — ბურთივით წამოვევარდი სავარძლიდან.

— აბა, სწორედ! მეტი საქმე არ მაქვს, ხვალაც გაგალანძვინო თავი. გააღე პირი! — ძალად დამსვა სავარძელში ექიმმა და კბილის ამოსაღები მაშა ავტომატივით მომიშვირა.

— ქალბატონო ექიმო, წავალ მე, ავადმყოფები თქვენ ისედაც არ გაკლიათ!

— რამ შეგაშინა, შე კაცი? კბილი უნდა ამოვიღო, თავს ხომ არ გჭრი? გააღე პირი!

— პატივცემულო ექიმო, აღარ მტკივა კბილი და საღ კბილს ხომ არ ამოგაღებინებთ? დამიბრიყვეთ ავადმყოფი კაცი? — ცრემლები მომაწვა თვალებზე.

— გააღე პირი!

— პატივცემულო ქალბატონო ექიმო! — ლავაშივით ავეკარი სავარძლის საზურგეს, — გთხოვთ, ბოროტად ნუ იყენებთ სამსახურებრივ მდგომარეობას, თორემ საჩივრის წიგნში ჩავიწერთ შენიშვნას...

— კარგი ახლა, ნუ მემუქრები, გააღე პირი!..

— ვაიმე, დედა, დედიკოოო... მიშველევით!.. — ყვირით ავიკელი იქაურობა.

თურმე ნუ იტყვი: ამ ყვირილში ექიმმა კბილი ამომიღო. ეს მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა გაღიმებულმა ექიმმა ჩემი ამოთხრილი კბილი ჰაერში შეათამაშა და საყვედურით გადმომკრა:

— ამ ერთი პატარა კბილის გამო რომ აგვიკელი ამხელა კაცმა, არ გრცხვენია მაინც?!

— ვაი, დედასა! კბილის ექიმებმა რომ იცოდეთ, რა არის კბილის ტკივილი და რა დიდი გმირობაა, კაცი თავისი ფეხით რომ მოდის თქვენთან, საპატიო დაფაზე დაკიდებული მის სურათს...



მთავარი რედაქტორის მოადგილე **გიორგი ნიშნიანიძე**

სარედაქციო კოლეგია:
ნ. დუმბაძე (მთავარი რედაქტორი)
ზ. გოლჭვაძე (პ/მ. მღვიმანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. გალაგონია,
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
თბილისი, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგი».
ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.
საერთო განყოფილების 93-10-78.

საპ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად 2/VII-69 წ.

ხელმოწერილია დასაბამად 5/VIII-69 წ.

ქალაქის ფორმა 70x108 1/8.

ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,

პრობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.

საპ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ГИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14


შეგ. № 2005. შპ 02317. ტირაჟი 112.000.



ნანა კანდელაკი
КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

დასავლეთ გერმანიის ნეოფაშისტური პარტია აცხადებს, რომ მომავალ არჩევნებში ისინი ბუნდესტაგში დაიკავენ 51 ადგილს.

7615K
ინტერსი
22
1969



ბუნდესტაგი

516
22. სექტემბერი
საბჭოთა კავშირის საგარეო უწყებანი

ერთი ნაბიჯი რაიხსტაგიდან ბუნდესტაგამდე